2-6496/22
13-05-2022

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს NN 130/1; 14.03.2022, 145/2; 26.04.2022, 145/3; 26.04.2022, 91/1; 08.11.2021 და 116/3; 31.01.2022 გადაწყვეტილებებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს სავალდებულოდ განსახილველად გადმოეცა:

- საქართველოს პარლამენტის წევრების: ჰერმან საბოს, იაგო ხვიჩიას, ვახტანგ მეგრელიშვილისა და ალექსანდრე რაქვიაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (№**07-3/176**; 09.03.2022 - განხილვის ვადა 2022 წლის 17 მაისამდე);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: სალომე სამადაშვილისა და ანა ნაცვლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№**07-3/197**; 20.04.2022 - განხილვის ვადა 2022 წლის 17 მაისამდე);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: ხატია დეკანოიძის, ლევან ბეჟაშვილის, ანა წითლიძისა და აკაკი მინაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№**07-3/198**; 20.04.2022 - განხილვის ვადა 2022 წლის 17 მაისამდე);
- საქართველოს პარლამენტის წევრების: სალომე სამადაშვილის, ბადრი ჯაფარიძის, დავით უსუფაშვილის, შალვა შავგულიძისა და ანა ნაცვლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის

პროექტი „ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ“ და თანმდევი საკანონმდებლო პაკეტი (**№07-3/158;** 25.01.2022 - განხილვის ვადა 2022 წლის 18 მაისამდე);

- საქართველოს პარლამენტის წევრების: მიხეილ სარჯველაძის, ისკო დასენის, ზაურ დარგალის, სავალან მირზოევის, გოგი მეშველიანის, ალუდა ღუდუშაურის, სოზარ სუბარის, ანტონ ობოლაშვილისა და სამველ მანუკიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო გვარის შეცვლის უფლების შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (**№07-3/114;** 02.11.2021 - განხილვის ვადა 2022 წლის 20 მაისამდე).

ობიექტურ მიზეზთა გამო, კომიტეტი ვერ ახერხებს ჩამოთვლილი საკითხების ზემოთ მითითებულ ვადებში განხილვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ უზრუნველყოთ დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვის ვადების გაგრძელება **30 დღით**.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე